№1398 2015 წლის 3 ივლისი ქ. თბილისი

სსიპ - მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული ელექტრონული ტენდერის მეშვეობით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის 3^1 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადაში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, სსიპ - მეწარმეობის განვითარების სააგენტომ (შემდგომში - სააგენტო), ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო რეჟიმის ამოქმედების და საქართველოს საექსპორტო პოტენციალის პოპულარიზაციის მიზნით, საქართველოს აეროპორტებში (თბილისის, ბათუმის და ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტები) შემოსული უცხოელი ვიზიტორებისათვის საჩუქრად გადასაცემი ბოთლის ღვინის შესყიდვასთან დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული ელექტრონული ტენდერის მეშვეობით, „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სააგენტოსთვის განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**